

შპს „ტუანა ტექსტილი“

2023 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლის
ინდივიდუალური საერთო დანიშნულების
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი:

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.....	3-4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5-6
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-13
1. ზოგადი ინფორმაცია	7-8
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	
ამონაგების აღიარება	7-8
მოგების გადასახადი	7-8
ძირითადი საშუალებები	7-8
არამატერიალური აქტივები	7-8
აქტივების გაუფასურება.....	7-7
იჯარა.....	7-8
მარაგები	7-8
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7-8
სავაჭრო ვალდებულებები	7-8
ბანკის სესხები და ოვერდრაფტები	7-8
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	7-8
ოპერაციები უცხოურ ვალუტაში	7-8
3. განმარტებითი შენიშვნები:.....	8
შენიშვნა #1 - ამონაგები	8
შენიშვნა #2 -ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.....	9
შენიშვნა #3 - სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	9
შენიშვნა #4 - სხვა არასაოპერაციო ხარჯი	9
შენიშვნა #5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.....	10
შენიშვნა #6 - მარაგები	10
შენიშვნა #7 - გაცემული ავანსები.....	10
შენიშვნა #8 - სავაჭრო მოთხოვნები	10
შენიშვნა #9 - ძირითადი საშუალებები	11
შენიშვნა #10 - არამატერიალური აქტივები	11
შენიშვნა #11 - სავაჭრო ვალდებულებები	12
შენიშვნა #12 – სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	12
ჩვეულებრივი იჯარა	12
ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	12
აქტივების გაუფასურება.....	12

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შპს „ტუანა ტექსტილი“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე)

	შენიშვნა	2023	2022
ამონაგები	1	7,800,517	6,294,803
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(2,614,414)	(1,912,808)
საერთო მოგება		5,186,103	4,381,995
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2	(193,413)	(210,032)
საოპერაციო მოგება		4,992,690	4,171,963
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	3	52,389	138,489
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4	(636,792)	(174,348)
მოგება დაბეგრამდე		4,408,287	4,136,104
მოგების გადასახადი		(54,705)	(58)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი		4,353,582	4,136,046
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		22,681,951	18,545,905
გაცემული დივიდენდები		(310,000)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		26,725,533	22,681,951

შენიშვნა : ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები, ფინანსური ხარჯები და ა.შ). ვინაიდან წლის განმავლობაში შპს „ტუანა ტექსტილის“ საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებამ ან ზარალმა და დივიდენდების გაცემამ განაპირობა, საწარმომ გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ცალკე-ცალკე წარდგენის ნაცვლად.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი

სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

შპს „ტვანა ტექსტილი“

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ინდივიდუალური სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება.

(თანხები მოცემულია ლარში და დაბრუნებულია უახლოეს ერთეულამდე)

	მნიშვნა	2023	2022
ამონაგები	1	7,800,517	6,294,803
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(2,614,414)	(1,912,808)
საერთო მოგება		5,186,103	4,381,995
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2	(193,413)	(210,032)
საოპერაციო მოგება		4,992,690	4,171,963
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	3	52,389	138,489
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	4	(636,792)	(174,348)
მოგება დაბეგვრამდე		4,408,287	4,136,104
მოგების გადასახადი		(54,705)	(58)
წლის მოგება და შთლიანი სრული შემოსავალი		4,353,582	4,136,046
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		22,681,951	18,545,905
გაცემული დივიდენდები		(310,000)	-
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		26,725,533	22,681,951

მნიშვნა : ზემოთ წარმოდგენილი ფორმატით დემონსტრირებულია ხარჯების აგრეგირება ფუნქციების მიხედვით (რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება, ადმინისტრაციული ხარჯები, ფინანსური ხარჯები და ა.შ). უნაიდან წლის განმავლობაში შპს „ტვანა ტექსტილი“ საკუთარ კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მოგებაში ან ზარალში და დივიდენდების გაცემაში განაპირობა, საწარმოში გადაწყვიტა სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ერთი ანგარიშგების წარდგენა სრული შემოსავლის ანგარიშგებისა და საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგების ცალკე-ცალკე წარდგენის ნაცვალად.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰნატ ფირატი



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ტუნა ტექსტილი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე).

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	685,704	351,957	204
მარაგები	6	4,785,503	4,022,657	2,812,900
გაცემული ავანსები	7	13,114,695	11,258,465	8,823,689
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,581,308	8,248,811	8,486,754
საგადასახადო ავანსი		32,134	-	
სულ მიმდინარე აქტივები		27,199,344	23,881,890	20,123,547
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	268,916	287,627	92,237
არამატერიალური აქტივები	10	537	1,390	1,645
სულ გრძელვადიანი აქტივები		269,453	289,017	93,882
სულ აქტივები		27,468,797	24,170,907	20,217,429
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები				
სავაჭრო ვალდებულებები.	11	721,683	786,091	1,460,105
სესხები დამფუძნებლისგან	12	21,581	702,730	211,419
საგადასახადო ვალდებულება		-	135	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		743,264	1,488,956	1,671,524
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები:		743,264	1,488,956	1,671,524
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		26,725,533	22,681,951	18,545,905
სულ კაპიტალი		26,725,533	22,681,951	18,545,905
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,468,797	24,170,907	20,217,429

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

შპს „ტანა ტექსტილი“

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის.

(თანხები მოცემულია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე).

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	685,704	351,957	204
მარაგები	6	4,785,503	4,022,657	2,812,900
გადაწეული ავანსები	7	13,114,695	11,258,465	8,823,689
სავაჭრო მოთხოვნები	8	8,581,308	8,248,811	8,486,754
სატადასაზადო ავანსი		32,134	-	
სულ მიმდინარე აქტივები		27,199,344	23,881,890	20,123,547
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	9	268,916	287,627	92,237
არამატერიალური აქტივები	10	537	1,390	1,645
სულ გრძელვადიანი აქტივები		269,453	289,017	93,882
სულ აქტივები		27,468,797	24,170,907	20,217,429
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მიღებული ავანსები				
სავაჭრო ვალდებულებები.	11	721,683	786,091	1,460,105
სესხები და მოკლევადიან სესხ	12	21,581	702,730	211,419
სატადასაზადო ვალდებულება		-	135	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		743,264	1,488,956	1,671,524
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები:		743,264	1,488,956	1,671,524
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		26,725,533	22,681,951	18,545,905
სულ კაპიტალი		26,725,533	22,681,951	18,545,905
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		27,468,797	24,170,907	20,217,429

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი



საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

შპს „ტუანა ტექსტილი“

საადრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ტუანა ტექსტილი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია სამტრედია ბაგრატიონის ქ. 2. საიდენტიფიკაციო კოდი 415101543. კომპანია რეგისტრირებულია 18/12/2017წ., სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის მმართველი დირექტორი და 100 % წილის მფლობელია თურქეთის მოქალაქე ბეჰზათ ფირატი. მისი ძირითადი საქმიანობაა საცვლების წარმოება, საბითუმო ვაჭრობა საცვლებით, (საცალო ვაჭრობა მაღაზიებში ფუნქციონირება შეწყვიტა 2021 წლის სექტემბრიდან). კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობა სამკერვალო ფაბრიკისთვის, სადაც ხდება საცვლების წარმოება.

კომპანიას არ გააჩნია მშობელი, შვილობილი და მეკავშირე კომპანიები.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და საადრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში - ლარში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანიამ საქმიანობა დაიწყო 2018 წლიდან და შესაბამისად მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი, შპს ტუანა ტექსტილი სარგებლობს საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული „სარეკომენდაციო მითითებით მესამე კატეგორიის საწარმოებისათვის და მესამე კატეგორიის ჯგუფებისათვის 2018 წლის ფინანსური ანგარიშგებისათვის მსს ფასს სტანდარტის პირველად გამოყენებასთან დაკავშირებით“ არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება, მყიდველის მხარეს გადადის საქონლის ფლობასთან არსებული რისკი და სარგებელი. ამონაგების აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი იანგარიშება საანგარიშგებო პერიოდში მოქმედი კანონმდებლობით - საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით. შესაბამისად არ გააჩნია ბალანსზე გადავადებული გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე პერიოდის ხარჯს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების წლების შესაბამისად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით 10 წლის ვადით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური აქტივის თითოეული ერთეულის საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის

ერთეული გაუფასურებელია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქტის რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

კომპანიაში არ არის ფინანსური იჯარის ოპერაციები. ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

მარაგები

მარაგების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში კომპანიას არ უსარგებლია საბანკო სესხით და ოვერდრაფტით.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებები (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, კვების დანამატი) ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო გადახდები.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის სამუშაო ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით). უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში

3. განმარტებითი შენიშვნები:

შენიშვნა #1 - ამონაგები

	გაყიდვები საქართველოში წარმოებული პროდუქციის (ექსპორტი)	იმპორტირებული საქონლის საბითუმოგაყიდვები აღვილობრივ ბაზარზე	სულ ამონაგები:
	ლარი	ლარი	ლარი
2023 წელი	7 709 868	90 649	7 800 517

შენიშვნა #2 - ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი ხარჯებისაგან

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023 წ
	ლარი
კომუნალური ხარჯები	2 161
სოციალური დანარიცხი	7 413
შრომის ანაზღაურება	78 187
ცვეთა და ამორტიზაცია	854
ბანკის საკომისიო	593
საგადასახდო ხარჯი	9 144
იჯარა	41 070
სხვადასხვა ხარჯი	53 991
ს უ ლ:	193 413

შენიშვნა #3 - სხვა არასაოპერაციო შემოსავლები

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი სხვასთან ერთად მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემოსავალსა და ხარჯებს.

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში. ასევე ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოელ მომწოდებლებთან, აფორმებს ხელშეკრულებებს უცხოურ ვალუტაში საერთაშორისო სატრანსპორტო კომპანიებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებთან და ა.შ. შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში უფიქსირდება კრედიტორული დავალიანებები ვალუტაში,

	2023 წ
	ლარი
შემოსავალი ვალუტის გადაფასებიდან	51 751
არასაოპერაციო მოგება	638
ს უ ლ	52 389

შენიშვნა #4 - სხვა არასაოპერაციო ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი სხვასთან ერთად მოიცავს უცხოურ ვალუტასთან დაკავშირებული ოპერაციების შემოსავალსა და ხარჯებს.

კომპანიას გააჩნია ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში. ასევე ანგარიშსწორებას ახორციელებს უცხოელ მომწოდებლებთან და მიმწოდებლებთან, აფორმებს ხელშეკრულებებს უცხოურ ვალუტაში, შესაბამისად, საანგარიშო წლის განმავლობაში უფიქსირდება კრედიტორული და დებიტორული დავალიანებები ვალუტაში, აწარმოებს კონვერტაციის ოპერაციებს და წარმოექმნება შემოსავალი/ზარალი ვალუტის გადაფასებიდან, კონვერტაციის ხარჯები და შემოსავალი/ზარალი კონტრაქტების კურსთაშორის სხვაობებიდან.

	2023 წ
	ლარი
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი	(628 580)
სხვა არასაოპერაციო ზარალი	(8 212)
სულ:	(636 792)

შენიშვნა #5 - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
	ლარი	ლარი
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	0	0
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6 048	697
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	679 656	351 260
სულ :	685 704	351 957

შენიშვნა #6 - მარაგები

	სულ:
	ლარი
ნაშთი 1 იანვარი 2023	4 022 656
შეძენა	2 856 419
რეალიზებული მარაგის თვითღირებულება	(2 093 572)
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	4 785 503

7. გაცემული ავანსები:

კომპანიას აქვს მარაგის შესაძენად გადახდილი ავანსები:

	31.12.2023	31.12.2022
	ლარი	ლარი
გაცემული ავანსი	13 114 695	11 258 465

8. კომპანიის ძირითად გაყიდვებს ექსპორტი შეადგენს, შესაბამისად უცხოეთში მიწილებიდან აქვს მოთხოვნები:

	31.12.2023	31.12.2022
	ლარი	ლარი
სავაჭრო მოთხოვნები	8 581 308	8 248 811

შენიშვნა #9 - ძირითადი საშუალებები

	მანქანა დანადგარე ბი	ავიჯი და სხვა ინვენტარ ი	კომპიუტერ ები	სატრანსპორ ტო საშუალება	კეთილ მოწყო ბა	სულ
	ლარი	ლარი	ლარი			
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2022	168 370	12 305	3077	96 800	8 465	289 017
შემოსვლა	14 771	2 504	0	0	0	17 275
გასვლა	0	0	0	0	0	0
პერიოდის ცვლის ხარჯი	(20 778)	(4 601)	(1 092)	(10 032)	(873)	(37 376)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	162 363	10 208	1 985	86 768	7 592	268 916
ისტორიული ღირებულება	241 576	31 314	7 306	115 277	8 729	404 202
დაგროვილი ცვლა 31 დეკემბერ 2023	(79 213)	(21 106)	(5 321)	(19 609)	(1 137)	(126 387)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2023	162 363	10 208	1 985	86 768	7 592	268 916

შენიშვნა #10 - არამატერიალური აქტივები

	პროგრამული უზრუნველყოფა
	ლარი
ისტორიული ღირებულება	2 542
დაგროვილი ამორტიზაცია 31.12.2023	2005
საბალანსო ღირებულება 31.12.2023	537

შენიშვნა #11 სავაჭრო ვალდებულებები

კომპანიას მარაგის შესაძენიდან აქვს წარმოშობილი სავაჭრო ვალდებულებები:

	31.12.2023	31.12.2022
	ლარი	ლარი
სავაჭრო ვალდებულებები	721 683	786 091

შენიშვნა #12 – სესხები/ დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

საანგარიშგებო 2023 წელს კომპანიის დირექტორის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 63 813 ლარი. კომპანიას გააჩნია სასესხო ვალდებულება დამფუძნებლის მიმართ. სესხი განიხილება, როგორც მოკლევადიანი უპროცენტო.

	2023 წელი
	ლარი
ვალდებულების ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	702 730
სესხის აღება	599 926
სესხის დაფარვა	(1 281 075)
ვალდებულების ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	21 581

ჩვეულებრივი იჯარა

კომპანიას ჩვეულებრივი იჯარით აღებული აქვს ფაბრიკისთვის ფართი. ჩვეულებრივი იჯარით გათვალისწინებული მინიმალური საიჯარო გადასახდელები, რომლებიც მიმდინარე 2023 წელს აღირებულია ხარჯად - 41 071 ლარი.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიას არ გააჩნია ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.

აქტივების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდში კომპანიაში აქტივების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 17 სექტემბერს.

დირექტორი: ბეჰზატ ფირატი